სააგენტოს საკუთრებაში გააჩნია 636 ჰა მიწის ფართობი, საიდანაც სრულად რაბილიტირებულია 225 ჰა, მათ შორის 2013 წელს 5,7 ჰა. ამას გარდა დარჩენილი სარეაბილიტაციო მიწებიდან ზედაპირული წმენდა 2013 წელს ჩაუტარდა 146 ჰა-ს. გარდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა, სააგენტო მიწის ნაკვეთების რეაბილიტაციისა და სხვა სახის მომსახურებებს უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. სულ მიმდინარე წელს მომსახურება გაწეულია 204 ჰა მიწის ნაკვეთზე თანხით 128 896 ლარი.

## შპს გრუზვინპრომი

2013 წელს კომპანიამ განახორციელა არსებული ღვინო მასალების და სხვადასხვა მარაგების რეალიზაცია:

- ღვინომასალა 2 874 712 დალ - 5 140 976.65 ლარი,
- გამოსახდელი ღვინომასალა 5 057 078 დალ - 2 882 534 ლარი,
- სპირტი ა/ა 161 281 დალ - 896 306,83 ლარი,
- ლექი 1 148 580 დალ - 310 116 ლარი.

ასევე შპს გრუზვინპრომი აქტიურად იყო ჩართული 2013 წლის რთველში, რომლის ფარგლებშიც ჯამურად მიღებულ იქნა 8 340 601კგ ყურძენი და გადახდილ იქნა 8 456 108.25 ლარი.

## სს აკურა

2013 წელს კომპანიამ განახორციელა არსებული ღვინომასალების და სხვადასხვა მარაგების რეალიზაცია:

- ღვინომასალა რქაწითელი 313 242.9 დალ - 2 047 294.4 ლარი,
- ღვინომასალა საფერავი 171 761.9 დალ - 2 066 862.9 ლარი,
- სპირტი ა/ა 21 207.43 დალ - 1 173 028.48 ლარი,
- ლექი 84 660.4 დალ - 228 583.08 ლარი.
- სხვადასხვა ღვინომასალა 6645 დალ - 132 830 ლარი.

სს აკურა აქტიურად იყო ჩართული 2013 წლის რთველში. მიღებულ იქნა 7 405 520 კგ ყურძენი თანხით 7 405 520 ლარი.

## შპს საკვების წარმოების კომპანია

შპს საკვების წამოების კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას მიმდინარე წელს წარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებული მზა პროდუქციის ნაშთების (გაყინული ბოსტნეულის) რეალიზაციის მიზნით ქვეყნის ფარგლებს გარეთ კლიენტების მოძიება. უკვე განხორციელდა პირველი მიწოდება ბელგიაში, გადატვირთულია 36 ტონა პომიდორი, თანხით 14,700 ევრო.

## შპს მექანიზატორი

შპს მექანიზატორი მიმდინარე წელს აქტიურად იყო ჩართული საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების სახელმწიფო პროგრამაში. ამ პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ბარათებით დაიხნა 80, 661 ჰა, ხოლო დაიდისკა 96,131 ჰა მიწა. სახელმწიფო პროგრამის გარდა მიმდინარე წლის სექტემბრის ჩათვლით კომპანიამ დაამუშავა 70,927 ჰა მიწის ფართი. კომპანიაში გადამზადდა 795 ტრაქტორისტი, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი კვალიფიკაცია UNDP სერვის ცენტრებში.

მიმდინარე წელს შპს „მექანიზატორმა" განახორციელა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა:

- 290 ერთეული ტრაქტორი - 11,634,950 Euro
- 314 ერთეული გუთანი - 727,498 Euro
- 390 ერთეული მარცვლეულის სათესი - 3,387,580 Euro
- 290 ერთეული დისკებიანი ფარცხი - 2,596,340 Euro
- 48 ერთეული ტრაქტორის დანა და მუხლუხა - 969,600 Euro

- 2,000 ერთეული ხელის მექანიკური სათესი - 200,000 $
- 290 ერთეული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფრეზი - 1,600,400 Euro
- 100 ერთეული რიგთაშორისი კულტივატორი - 812,000 Euro
- 1,700 ერთეული მოტო ბლოკი - 2,805,000 Euro
- 65 ერთეული ჰერბიციდის და სასუქის შემტანი - 317,600 Euro

2013 წელს შპს „მექანიზატორმა“ განახორციელა დაახლოებით 25 000 000 ევროს ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა.

## შპს „მარცვლეულის შესანახი ცენტრები“

მიმდინარე წლის განმავლობაში შპს „მარცვლეულის შესანახი ცენტრები“-ს მიერ გაწეული იქნა შემდეგი სახის მომსახურებები:

- **გაშრობა-შენახვის მომსახურება** - აღნიშნული მომსახურების ფარგლებში სულ გადამუშავდა 4,118 ტ. მარცვლეული თანხით 182,038 ლარი
- **განმარცვლა-გაშრობა-შენახვის მომსახურება** - აღნიშნული მომსახურების ფარგლებში სულ გადამუშავდა 235 ტ. მარცვლეული თანხით 8,778 ლარი.
- **შენახვის მომსახურება** - აღნიშნული მომსახურების ფარგლებში სულ შენახვაზე მიღებულ იქნა 6,244 ტ. მარცვლეული თანხით 113,982 ლარი.

## შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“

2013 წლის განმავლობაში 594 ჰა-ზე მოყვანილი და რეალიზებულია 1,295,550 კგ ხორბალი თანხით 556,170 ლარი. ასევე 157,5 ჰა-ზე ( ბოლნისის რაიონი სოფელი ტალავერი 87 ჰა, გორის რაიონი სოფელი შინდისი 70.5 ჰა) დაითესა ჯაგერის ჯიშის სათესლე ხორბალი, რომლის მოსავალსაც კომპანია ელოდება 2014 წელს. ამას გარდა, კომანიამ მოახდინა მის საკუთრებაში არსებული მარაგების ნაწილის რეალიზაცია. კერძოდ: 2,838 ტომარა სათესლე სიმინდი თანხით 681,120 ლარი და სასუქები 698 ტომარა თანხით 48,860 ლარი.

## ჯიშთა გამოცდის პროექტი

2013 წელს დაიწყო ჯიშთა გამოცდის პროექტის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში მარცვლეულის ჯიშთა გამოცდის სამსახურის ორგანიზებას, ყველა ნიადაგურ-კლიმატური ზონებისათვის ოპტიმალური ჯიშების გამოვლენას, ხორბლის კულტურის მოყვანას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. დღევანდელი მდგომარეობით ხორბალი დათესილია ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში 12 ჰა მიწის ნაკვეთზე, უახლოეს მომავალში იგეგმება თესვის სამუშაოების სხვა რეგიონებშიც დასრულება (გორი სოფელი შინდისი 9 ჰა, თელავი სოფელი გულგულა 10 ჰა, ახალციხე 9 ჰა, დედოფლისწყარო 11 ჰა, სამტრედია სოფელი დიდი ჯიხაიში 12 ჰა.) ამ ეტაპზე ჯიშთა გამოცდისათვის შერჩეულია 31 ჯიშის ხორბალი. პროექტის განხორციელების პირველი ციკლის (1 წელი) ბიუჯეტი შეადგენს 300,000 ლარს, რომელიც ასევე მოიცავს 70 ჰა-ზე „გამოსათანაბრებელი“ ხორბლის თესვის ხარჯებსაც, ხოლო ამ 70 ჰა-ზე მოწეული ხორბლის რეალიზაციიდან დაგეგმილი

მისაღები შემოსავალი შეადგენს 120,000 ლარს. პროექტს ახორციელებს შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“

## ➢ სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაცია - ექსპლუატაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაციისთვის მასშტაბური სამუშაოები განახორციელა. ამჟამად საქართველოს მასშტაბით სარწყავი სისტემების პრაქტიკულად ყველა დიდი მაგისტრალური არხი და გამანაწილებელი გაწმენდილია და სარწყავი სეზონის დამთავრებისთანავე დაგეგმილია მათზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც ბოლო 25 – 30 წელია არ ჩატარებულა. სარემონტო სამუშაოები დაიგეგმა 306 ობიექტზე, აქედან, 295 ობიექტზე სამუშაოები უკვე დასრულებულია. დღეისათვის, გაწმენდილი და შეკეთებულია სარწყავი სისტემების 1256.5 კმ მაგისტრალური არხი და პირველი რიგის გამანაწილებელი.

- მოვლა-შენახვისა და ზედაპირული რემონტის ღონისძიებებით მომსახურება გაეწია 3 ათას კილომეტრამდე სხვადასხვა დონის გამანაწილებელ არხებს.

- გარემონტდა და ელექტრომექანიკური სამუშაოები ჩაუტარდა სატუმბო სადგურებს, წყალმიმღებ სათავე ნაგებობებს, გარემონტდა დიუკერები და აკვედუკები, წყალსაცავების ჰიდროკვანძები და სხვა სახის 48 მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა. გარემონტდა წყალმარეგულირებელი და გამანაწილებელი კვანძები, ახლით შეიცვალა სხვადასხვა დიამეტრის ურდულები და ჰიდრანტები. ამ ღონისძიებებით მოწესრიგდა სულ 664 ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

ცნობისთვის, გასულ წელს მაგისტრალური არხების მხოლოდ 20-25% იყო გაწმენდილი და პირველი რიგის გამანაწილებლებს სახელმწიფო საერთოდ არ არემონტებდა.

სადრენაჟე სამუშაოები მიმდინარეობს 4635 ჰა ფართობზე. სადრენაჟე სამუშაოების დასრულების შემდეგ, გურჯაანის მუნიციპალიტეტში 924 ჰა დაჭაობებული ფართობი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას შეიძენს.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად საქართველოში წყალუზრუნველყოფილი გახდა 74.3 ათასი ჰა სავარგული. გაიწმინდა და მოწესრიგდა საირიგაციო არხები:

**ქვემო ქართლში - 489 კმ;** მათ შორის - 260 კმ მაგისტრალური არხი და 239.5 კმ გამანაწილებელი არხი;

**შიდა ქართლში - 424 კმ;** მათ შორის - 125 კმ მაგისტრალური არხი და 299 კმ გამანაწილებელი არხი;

**კახეთში - 46 კმ;** მათ შორის - 17.5 კმ მაგისტრალური არხი და 41.5 კმ გამანაწილებელი არხი;

**იმერეთში - 95.0 კმ**; მათ შორის - 2.0 კმ მაგისტრალური არხი და 93.0 კმ გამანაწილებელი არხი.

**სულ - 1077.5 კმ საირიგაციო არხი**

გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა, გაიწმინდა და **მოწესრიგდა 25 კმ სიგრძის სადრენაჟო კოლექტორი და მოეწყო 164 კმ ორნატები.**

დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია ტარდება მდინარეთაშორისო მასივების მიხედვით, იწმინდება საკოლექტორო არხები და შიდასამეურნეო დამშრობი ქსელი, ეწყობა ორნატები. გარემონტდა არსებული სატუმბი სადგურები (ორი ფოთში და ერთი ანაკლიაში).

წლის ბოლომდე დაგეგმილია 58 კმ მაგისტრალური და 148 კმ გამანაწილებელი არხების წმენდა-მოწესრიგების სამუშაოების ჩატარება. რის შემდეგაც წყალუზრუნველყოფილი ფართობი მნიშვნელოვნად გაიზრდება. სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის განხორციელება საშუალებას მისცემს ფერმერებს გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 40-50%-ით, შეიქმნება მოსავლის სტაბილურად მიღების შესაძლებლობა, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით გამოწვეული უარყოფითი პროცესების გავლენა.

რაც შეეხება სარწყავ სეზონს, მალე დასრულდება სავეგეტაციო და დაიწყება საშემოდგომო რწყვა. დღეისათვის, გაფორმებულია ხელშეკრულებები წყალმომხმარებლებთან 39 ათასამდე ჰექტარზე (შარშან მთელი წლის განმავლობაში 24 ათასი ჰა). **საერთო ჯამში შარშანდელთან შედარებით წელს, წლის ბოლომდე სამჯერ მეტი ფართობი გასარწყავდება.**

კომპანია აქტიურად მუშაობს ახალი წყალსაცავების მოწყობაზე. კერძოდ: თეძამის, ხრამისა და არხაშენის წყალსაცავების მოწყობაზე. თეძამის წყალსაცავის მოსაწყობად უკვე დაწყებულია წინა საპროექტო სამუშაოები. თეძამის წყალსაცავი იქნება 12 მლნ $მ^3$ მოცულობის და სხვადასხვა სარწყავ სისტემებს: სიონის მაგისტრალურ არხს; ჩოჩეთის არხს; ნიაბის ზედა არხს; ყარაღაჯის არხს; წაბლა არხს და მეტეხის არხს წყალუზრუნველყოფს. ეს არხები კასპის მუნიციპალიტეტის 2600 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს წყალუზრუნველყოფს. ასევე მიმდინარეობს პროექტირება, არხაშენის წყალსაცავის, რომლის მოცულობა იქნება 7.3 მლნ $მ^3$. ამ წყალსაცავის მოწყობით მნიშმელოვნად გაუმჯობესდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ჯანდარის მასივის 5000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა.

საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების პროექტის ფარგლებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას გეგმავს. ამ მიზნით, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალური არხის გამანაწილებელი-6-ის 30 მეტრიანი რკინა-ბეტონის ღარი, სატესტო რეჟიმში მინაქსოვილით არმირებული კომპოზიტური მასალით დამზადებული ღარებით შეიცვალა. საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე პარაბოლური ღარები რკინა-ბეტონით მზადდებოდა. ექსპერიმენტის გამართლების შემთხვევაში კომპანია მთლიანად გადავა სარწყავ სისტემებზე ამ ტექნოლოგიით დამზადებული ღარების გამოყენებაზე. ახალი ტექნოლოგიის დანერგვა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, კერძოდ: თუ როგორ გაუძლებს კლიმატურ პირობებს და ტემპერატურის ცვალებადობას, ასევე, გარე ზემოქმედებებს, არხში წყლის გაშვების შემდეგ ადგილი ექნება თუ არა წყლის გაჟონვა-დაკარგვას. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტური მასალისგან დამზადებული ღარები, რომელსაც კომპანია დადებითი შეფასების შემთხვევაში სამომავლოდ სარწყავი სისტემების ინფრასტუქტუსრის მოსაწესრიგებლად გამოიყენებს, წარმოებულია საქართველოში. იგი უფრო იაფი და მსუბუქია.

2013 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას გამოეყო 61 100 000 ლარი. 90-იან წლების შემდეგ კომპანიამ პირველად შეიძინა 3.6 მლნ ლარის თანამედროვე მიწისმთხრელი მექანიზმები, კომპანია ასევე

აღიჭურვა 4.5 მლნ დოლარის ღირებულების ტექნიკით, რომელიც ჩინური გრანტის თანხებით იქნა შეძენილი, რამაც კომპანიიის სპეცტექნიკის საერთო რაოდენობა 100 ერთეულამდე გაზარდა.

## ➢ ღვინის ეროვნული სააგენტო

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში, სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას ახორციელებდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მუდმივი კონტაქტისა და საქართველოს შესაბამის სახელმწიფო და მეღვინეობის სფეროში მოქმედ კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში.

ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელების მიზნითა და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს წინაშე მდგარი ახალი გამოწვევებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, 2012 წლის დეკემბრის ბოლოსა და 2013 წლის იანვარში სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა ძირეული რეორგანიზაცია, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები. 2013 წლის თებერვალში დამტკიცდა სააგენტოს ახალი დებულება, ხოლო 2013 წლის ბოლოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოში ჩატარდა კონკურსი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად. 47 კონკურსანტიდან გასაუბრება წარმატებით გაიარა 29 კანდიდატმა.

## რთველი - 2013

2013 წლის მნიშვნელოვან მოვლენას „რთველი-2013“-ის ორგანიზებულად წარმართვა და მისი წარმატებით დასრულება წარმოადგენდა, რომელსაც წინ უძღოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სხვა დაინტერესებული უწყებების ურთიერთშეთანხმებული და კოორდინირებული საქმიანობა.

2013 წლის 22 აგვისტოს ქ. გურჯაანში ოფიციალურად გაიხსნა ,,რთველის საკოორდინაციო შტაბი“. შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ბ-ნი ლევან დავითაშვილი.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების გარდა, შედიოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

აგვისტოს ბოლოს მიმდინარეობდა შტაბის წევრების რეგულარული შეხვედრები ღვინის კომპანიებთან და მევენახეებთან, სამუშაო რეჟიმში ხდებოდა რთველის პროგრამული და ტექნიკური ნაწილის ტესტირება და რთველთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

საქართველოს მთავრობის 20 აგვისტოს №1090 განკარგულების შესაბამისად მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით დადგინდა ღვინის

კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია, შემდეგი ოდენობით: 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე – 40 თეთრი და 1 კგ საფერავისათვის – 25 თეთრი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს თანამშრომლების მიერ შემუშავებული პროგრამა რთველში მონაწილე მევენახეების (ფიზიკური პირების), ღვინის კომპანიების, გადამუშავებული ყურძნის რაოდენობისა და ყურძნის ჯიშების კომპიუტერულ ,,ონლაინ" რეჟიმში აღრიცხვისა და სისტემატიზირების საშუალებას იძლევა.

პროგრამა საშუალებას იძლევა, ყურძნის ჩამბარებელ თითოეულ პუნქტში ოპერატორმა ელექტრონულ ბაზაში შეიყვანოს სრული ინფორმაცია ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირისა და ყურძნის მიმღები ღვინის კომპანიის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია ჩასაბარებელი ყურძნის რაოდენობის, ჯიშისა და ფასის, მათ შორის სუბსიდიის თანხის ოდენობის თაობაზე. ადგილზევე ხდება აღნიშნული ინფორმაციის მიღება-ჩაბარების აქტის სახით ამობეჭდვა და მის სისწორეს ხელმოწერებით ადასტურებდნენ ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირი, ღვინის კომპანიის, ღვინის ეროვნული სააგენტოს/სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირები. თითოეული მიღება-ჩაბარების აქტი აღჭურვილია სპეციალური შტრიხ-კოდით და პროგრამის მიერ მიცემული უნიკალური ნომრით.

ამავდროულად, კომპიუტერში შეყვანილი ინფორმაცია ინტერნეტით გადაეცემოდა ღვინის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ სერვერს, რაც საშუალებას იძლეოდა რთველის საკოორდინაციო შტაბში ,,ონლაინ" რეჟიმში მომხდარიყო ყურძნის ჩაბარების ყველა პუნქტიდან ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება და მათი გაანალიზება.

აღნიშნული პროგრამით დამუშავებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა ოპერატიულად განხორციელდეს ღვინის კომპანიებზე სუბსიდიის თანხების გაცემა. 2013 წელს ღვინის კომპანიებზე გაცემულმა სუბსიდიის თანხამ 32 046,5 ათ. ლარი შეადგინა.

კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ღვინის კომპანიების მიერ გადამუშავებულია 92 773 ტ. ყურძენი, მათ შორის 62,1 ათასი ტ. რქაწითელი, 2 ათასი ტ. კახური მწვანე, 25,8 ათასი ტ. საფერავი და 996,1 ტ. ალექსანდროულ-მუჯურეთული. (ცნობისათვის: 2012 წელს რთველში მონაწილე 39 კომპანიამ ვაუჩერიზაციის პროგრამის ფარგლებში სულ გადაამუშავა 52 200 ტ. ყურძენი.)

უნდა აღინიშნოს, რომ გადამუშავებული ყურძნის ეს რაოდენობა სარეკორდოა უკანასკნელი 20-22 წლის განმავლობაში, ისევე როგორც 2013 წლის 12 სექტემბერს დაფიქსირებული დღიური გადამუშავების მაჩვენებელიც – 4506 ტონა.

ყურძნის მიღება – გადამუშავების პროცესში მონაწილეობას ღებულობდა ღვინის 91 კომპანია, მათ შორის: 89 კერძო და 2 სახელმწიფო საწარმო (შპს ,,გრუზვინპრომი" და სს ,,აკურა"). სახელმწიფო კომპანიების მიერ შესყიდული და გადამუშავებულია მხოლოდ 15,6 ათასი ტონა ყურძენი, რაც საერთო რაოდენობის 16,8%-ს შეადგენს. (ცნობისათვის: 2012 წელს აღნიშნული კომპანიების მიერ შეძენილი და გამუშავებული იქნა 34 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, რამაც საერთო რაოდენობის 65% შეადგინა).

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხრიდან რთველის პროცესის სწორად დაგეგმვისა და წარმართვის შედეგად პრაქტიკულად გამოირიცხა კონკურენცია სახელმწიფო და კერძო კომპანიებს შორის: შპს ,,გრუზვინპრომისა" და სს ,,აკურას" მიერ ყურძნის შეძენა ძირითადად ხდება იმ ზონებში, სადაც მოწეული ნედლეული, ადგილწარმოშობის პრინციპებიდან გამომდინარე, ნაკლებად შედის კერძო სექტორის ინტერესთა სფეროში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ

საფერავის ჯიშის ყურძნის დეფიციტის პირობებში, სახელმწიფო კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებული იქნა სულ 225,5 ტონა ამ ჯიშის ყურძენი, რაც შეადგენს საფერავის საერთო რაოდენობის 0,87%-ს.

საინტერესოა რაიონების მიხედვით შესყიდული და გადამუშავებული ყურძნის მაჩვენებელი:

- გურჯაანის რაიონი – 22,4 ათასი ტონა;
- თელავის რაიონი - 18,2 ათასი ტონა;
- ყვარლის რაიონი - 17,8 ათასი ტონა;
- სიღნაღის რაიონი - 12,6 ათასი ტონა;
- საგარეჯოს რაიონი - 9,2 ათასი ტონა;
- დედოფლისწყაროს რაიონი – 4,3 ათასი ტონა;
- ლაგოდეხის რაიონი - 3,7 ათასი ტონა;
- ახმეტის რაიონი - 3,0 ათასი ტონა.

რთველის დასაწყისში საფერავის, რქაწითელისა და კახური მწვანეს ფასმა შეადგინა 1 ლარი, თუმცა რთველის პერიოდში მოხდა ფასების მნიშვნელოვანი მატება, კერძოდ:

- საფერავზე - 100%-ით;
- რქაწითელზე - 25-35%-ით;
- კახური მწვანეზე - 40-45%-ით.

თუმცა, მთლიანობაში, აღნიშნულ ჯიშებზე შეწონილმა ფასმა შეადგინა:

- საფერავზე - 1,24 ლარი;
- რქაწითელზე - 1,03 ლარი;
- კახური მწვანეზე - 1,26 ლარი.

აღსანიშნავია, რომ მთლიანად კახეთის რეგიონის მოსახლეობამ ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლის სახით მიიღო დაახლოებით 100 მლნ ლარი.

## ქართული ღვინის პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში სააგენტო აგრძელებდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას, როგორიცაა ქართული ღვინის პოპულარიზაცია და მისი ცნობადობის ამაღლება დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და სემინარების ორგანიზების ხელშეწყობითა და მონაწილეობით.

ფართოვდება ორმხრივი და მრავალმხრივი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მსოფლიოში ქართული ღვინოების პოპულარიზაციის მიზნით საანგარიშო პერიოდში სააგენტოს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა შეძლეს მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილ ღვინის საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებში, კონკურსებსა და დეგუსტაციებში. მათგან შეიძლება გამოვყოთ:

2013 წლის 18 იანვარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მომხმარებელთა უფლებათა დაცვის მინისტრის ქალბატონ ილაზე აიგენის სახელით გამართული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთაშორისო გამოფენის („მწვანე კვირეული") ფარგლებში, სააგენტოს თავმჯდომარეს ორმხრივი შეხვედრები ჰქონდა გერმანიის, ჰოლანდიის, ლიტვისა და

ესტონეთის სოფლის მეურნეობის მინისტრებთან. აღნიშნული შეხვედრების ძირითადი მიზანი ამ ქვეყნებში ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

2013 წლის 17-18 მარტს დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში, გაიმართა ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენა ,,Real Wine Fair 2013". ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ბუნებრივი ღვინოების მწარმოებელმა თორმეტმა კომპანიამ.

ხორვატიის ქალაქ ზაგრებში 2013 წლის 14-18 მარტს ჩატარდა ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ღვინის ტუროპერატორები, სომალიები და ა.შ. აღნიშნული ღონისძიება გაიმართა ტურიზმის ეროვნული სააგენტოსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით. აღსანიშნავია, რომ ღვინის ტურიზმის მორიგ მსოფლიო კონფერენციას 2014 წლის მარტის ბოლოს საქართველო უმასპინძლებს და მის ორგანიზებას ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად ტურიზმის ეროვნული სააგენტოც მოახდენს.

როგორც ცნობილია, საქართველო წარმოადგენს ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) წევრს. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი წარმოადგენს სახელმწიფოთა არაფორმალურ გაერთიანებას, რომლის მიზანია მონაწილე სახელმწიფოთა შორის ღვინით ვაჭრობის გამარტივება. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაერთიანებული არიან: აშშ, კანადა, არგენტინა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და საქართველო (2010 წლიდან).

აღნიშნული ჯგუფის ფარგლებში, ,,ეტიკეტირების მოთხოვნათა შესახებ" ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) 2007 წლის შეთანხმების დებულებათა გათვალისწინებით (რომლის მონაწილე მხარეს, ასევე წარმოადგენს საქართველო), შემუშავებულ იქნა დამატებითი დოკუმენტი (პროტოკოლი) ,,ეტიკეტირების მოთხოვნების შესახებ, რომელიც ეხება ალკოჰოლის დასაშვებ გადახრას, მოსავალს/რთველს, ყურძნის ჯიშებს და მეღვინეობის რეგიონებს". პროტოკოლის ძირითად მიზნებს წარმოადგენს ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა ღვინის ეტიკეტზე მოსავლის/რთველის, ყურძნის ჯიშების და მეღვინეობის რეგიონების ამსახველი ინფორმაციის ერთობლივი გააზრების გზით; ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის წევრთა შორის ღვინით ვაჭრობის გაადვილება, გაიაფება და ა.შ. მოცემულ პროტოკოლს ხელი მოეწერა ბელგიის ქალაქ ბრიუსელში ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის 2013 წლის 22 მარტს გამართულ შეხვედრაზე. აღნიშნულ შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღეს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა.

2013 წლის 6-8 ნოემბერს ვაშინგტონში ჩატარდა ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ყოველწლიური პლენარული შეხვედრა.

2014 წლის შემოდგომაზე (სავარაუდოდ: 25-27 აგვისტოს) ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) წლიურ კონგრესს საქართველო უმასპინძლებს და მნიშნელოვანია, რომ 2014 წელს საქართველო გახდება ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანა.

2013 წლის 24-26 მარტს, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართა ღვინისა და სპირტიანი სასმელების მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო გამოფენა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით მონაწილეობა მიიღო ქართული ღვინის თოთხმეტმა მწარმოებელმა კომპანიამ.

2013 წლის 6-8 აპრილს იტალიის ქალაქ ჩერეაში ჩატარდა ქვევრის ღვინის ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა სახელწოდებით ,,ვინი ვერი". ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 11 ქართული ბუნებრივი ღვინის მწარმოებელი კომპანია: ,,ხოხბის

ცრემლები", ,,ალავერდის მონასტრის მარანი", ,,იაგოს ღვინო", ,,ჯაყელების ღვინოები", ,,ნიკოლოზ ანთაძის მარანი", ,,კახა ბერიშვილის მარანი", ,,ჩვენი ღვინო", ,,გაიოზ სოფრომაძის მარანი", ,,ნიკოლაძეების მარანი", ,,მარანი ნიკა" და ,,თელედა".

2013 წლის 15-19 აპრილს ბულგარეთის ქალაქ ველიკო ტერნოვოში ჩატარდა შავი ზღვის ღვინის მწარმოებელი ქვეყნების ყურძნის აბორიგენული ჯიშებისგან დამზადებული ღვინის კონკურსი/კონფერენცია. კონფერენციის ფარგლებში ასევე ჩატარდა შავი ზღვის ქვეყნების ყურძნის აბორიგენული ჯიშებისგან დამზადებული ღვინის დეგუსტაცია. 2014 წელს იგეგმება ანალოგიური სახის კონფერენციის ჩატარება საქართველოში.

2013 წლის 1 მაისს ლონდონში ჩატარდა ღვინის ახალი რეგიონების საერთაშორისო გამოფენა-დეგუსტაცია სახელწოდებით "Emerging Regions Tasting", რომელიც მსოფლიოში ცნობილი ყოველთვიური ჟურნალის "Harpers"-ის ორგანიზებით ტარდება.

გამოფენა-დეგუსტაციას დაესწრნენ მეღვინეობის სფეროში მოღვაწე ჟურნალისტები, სომელიეები და ღვინის საცალო და საბითუმო ვაჭრობით დაინტერესებული პირები.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით გამოფენა-დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 4 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია: ,,შუხმან ვაინს ჯორჯია", ,,ბაგრატიონი", ,,თბილღვინო", ,,მეღვინეობა ხარება".

2013 წლის 6-23 მაისს ლონდონში ჩატარდა ქართული კულტურის დღეები სახელწოდებით "Art in Wine and Wine in Art".

საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში, მრავალ სხვა ღონისძიებასთან ერთად, 19-20 მაისს ლონდონში ჩატარდა ბუნებრივი ღვინოების გამოფენა-დეგუსტაცია "RAWFARE", რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით მონაწილეობა მიიღო ქვევრის ღვინის მწარმოებელმა ხუთმა ქართულმა კომპანიამ: ,,ლაღვინარი", ,,ჯაყელი ვაინს", ,,ღვინის მარანი", ,,ნიკას მარანი" და ,,მონასტერი ვაინს".

ღვინის ეროვნული სააგენტოს აქტიური მხარდაჭერითა და ხელშეწყობით 2013 წლის 11 მაისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მეოთხედ ჩატარდა ,,ახალი ღვინის ფესტივალი".

მიმდინარე წლის 8-26 მაისს ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში გაიმართა აზიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული გამოფენა "Wine and Cheese Expo 2013". გამოფენის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ქვეყნის ღვინოების პრეზენტაცია და დეგუსტაცია. გამოფენის ფარგლებში, 24 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ინდონეზიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით მოეწყო ქართული ღვინის პრეზენტაცია და დეგუსტაცია.

ქართული ღვინის შემდგომი პოპულარიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2013 წლის 6-11 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით ქვევრის ღვინის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარება.

სააგენტოს მოწვევით სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვიდნენ ღვინის სფეროში მოღვაწე მსოფლიოში ცნობილი მწერლები (ალის ფერინგი, სარა ებოტი და ა.შ.), ჟურნალისტები, მეღვინეები, სომელიეები და ღვინით მოვაჭრე კომპანიების წარმომადგენლები.

2013 წლის 7-9 ივნისს, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოსა და Expo Georgia-ს ორგანიზებით, ჩატარდა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მეექვსე საერთაშორისო გამოფენა, სახელწოდებით "Wine Expo Georgia 2013".

2013 წლის 2-8 ივნისს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) 36-ე კონგრესი.

კონგრესის სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში, თავისი ნაშრომი ,,ქართული ვაზის ჯიშების დაცვა და განვითარება" წარადგინა ჯიღაურის ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალების წარმოების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ლევან უჯმაჯურიძემ.

2013 წლის 21-24 ოქტომბერს, პარიზში ჩატარდა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც გაიმართა ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტისა და გენერალური ასამბლეის სხდომები. აღნიშნულ სხდომებში მონაწილეობა მიიღო ქართული მხარის დელეგაციამ.

2013 წლის 23 სექტემბერს სასტუმრო ,,რედისონში" ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხეცურიანმა, უკრაინის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა დიმიტრი სიდორენკომ, ლატვიის სომელიეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომანს კომარსმა, რუსეთის სომელიეთა ასოციაციისა და ღვინის ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარემ არტურ სარქისიანმა, ლიტვის სომელიეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა რასა სტარკუსმა და ესტონეთის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა კრისტელ ნომიკმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და 6 ქვეყნის სომელიეთა ასოციაციის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი მიზნად ისახავს თანამშრომლობის განმტკიცებას, რაც ხელს შეუწყობს ხელმომწერ მხარეთა ქვეყნებში ქართული ღვინოებისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების შემდგომ პოპულარიზაციასა და მათ ცნობადობის ამაღლებას.

2013 წლის 23 სექტემბერს შვეიცარიის ქ. ჟენევაში გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური ასამბლეის სხდომა. სხდომას ორგანიზაციის წევრი 160 ქვეყნის 600-მდე დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის საქართველოს დელეგაცია, სოფლის მეურნეობის მინისტრის ბ-ნ შალვა ფიფიას ხელმძღვანელობით.

2013 წლის 6-9 ნოემბერს, ჰონგ კონგში გაიმართა ყოველწლიური გამოფენა „Hong Kong International Wine & Spirits Fair 2013".

ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია ქართული ღვინის ორგანიზებით, აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა კომპანიებმა: „ბაგრატიონი 1882", „ბესინი", „შატო მუხრანი", "GWS", „სარაჯიშვილი", „შუხმან ვაინსი", „თბილღვინო" და „ხარება".

შედგა შეხვედრები ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებსა და აზიის სხვადასხვა გამოფენების ორგანიზატორებს შორის, გაკეთდა შემოთავაზება „TopWine China 2014" და Wine&Gourmet Taipei 2014-ზე, სადაც ქართული ღვინის მწარმოებლებს შეეძლებათ წარადგინონ საკუთარი პროდუქცია.

2013 წლის 10-16 ნოემბერს ჩინეთში გაიმართა შანხაის ღვინის საერთაშორისო გამოფენა „პროვაინი". ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია ქართული ღვინის მხარდაჭერით გამოფენაში მონაწილეობა მიიღო შვიდმა ქართულმა ღვინის კომპანიამ („ბაგრატიონი 1882", „ბესინი", "GWS", „სარაჯიშვილი", „თელიანი ველი", „თბილღვინო" და „ხარება").

როგორც მოგეხსენებათ, ჩინეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბაზარია საქართველოსთვის, სადაც ბოთლის ღვინის გაყიდვები მკვეთრად იზრდება ყოველ წელს. (ცნობისათვის: 2013 წელს ჩინეთის ბაზარზე ექსპორტირებულია 898,4 ათასი ბოთლი ღვინო, ხოლო ჰონგ კონგში - 104,6 ათასი.)

2013 წლის 12-15 ნოემბერს, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ჩატარდა ღვინის საერთაშორისო გამოფენა, რომლის ფარგლებში მიმდინარე წლის 12 ნოემბერს გაიმართა ქართული ღვინის პრეზენტაცია.

2013 წლის 13 ნოემბერს ჩატარდა ღვინის გამოფენა/გაყიდვა "EnoExpo 2013". გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ექვსი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია (ზესინი, ქიმერიონი, ბაგრატიონი, შუხმანი, თელავის ღვინის მარანი, ხარება). გამოფენის გახსნის დღიდან ქართულ სტენდს მეღვინეობის დარგში მოღვაწე უამრავი დაინტერესებული პირი ეწვია, ხოლო 14 ნოემბერს გამოფენის ფარგლებში მოეწყო კონკურსი, რომელშიც ორმა ქართულმა ღვინის კომპანიამ (თელავის ღვინის მარანი და შუხმანი) მიიღო მონაწილეობა და მათ საერთო ჯამში 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

1. შუხმანი- ვინოტერა ქისი 2011, ოქრო;
2. შუხმანი- ვინოტერა საფერავი 2009, ოქრო;
3. შუხმანი - წინანდალი 2008, ბრინჯაო;
4. შუხმანი - საფერავი 2011, ბრინჯაო;
5. თელავის ღვინის მარანი -ხვანჩკარა 2012, ვერცხლი;
6. თელავის ღვინის მარანი -კახეთი 2011, ვერცხლი;
7. თელავის ღვინის მარანი - ნაფარეული 2011, ბრინჯაო;
8. თელავის ღვინის მარანი - ცოლიკაური 2012, ბრინჯაო.

2013 წლის 12-16 ნოემბერს იტალიის ქალაქ მილანში ჩატარდა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო გამოფენა SIMEI, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმაც. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ღვინის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები და აღნიშნულ სფეროში არსებული მიღწევები.

2013 წლის 28 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე მიმდინარეობდა ქ. ლონდონში ქართული საშობაო ბაზრობა, რომლის ფარგლებშიც ლონდონის საგამოფენო ცენტრ „ვინოპოლისში" გაიმართა ქართული ღვინის პრეზენტაცია და რთველი 2013-ის ამსახველი ფოტოექსპოზიცია.

2013 წლის 2-6 დეკემბერს „ექსპო ჯორჯიის" საგამოფენო ცენტრის მესამე პავილიონში ღვინის დეგუსტატორებისათვის ჩატარდა სენსორიკის საკვალიფიკაციო სემინარი. სემინარის ჩასატარებლად ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწვეული იყო გერმანელი სპეციალისტი, რაინფალცის მხარის ნოიშტატის მეღვინეობა-მევენახეობის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი და მეღვინეობა-მევენახეობის განყოფილების ხელმძღვანელი დოქტ. გეორგ ბინდერი. სემინარებში, გარდა სააგენტოს მუდმივმოქმედ კომისიაში მომუშავე დეგუსტატორებისა, მონაწილეობას იღებდნენ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები.

2013 წლის 24 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, „ქართული ღვინის" ასოციაციის პრეზიდენტმა თინა კეზელმა და საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხეცურიანმა ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ,,ქართული ღვინის" ასოციაციამ შალვა ხეცურიანს „ქართული ღვინის საპატიო ელჩის" წოდება მიანიჭა. ქართული ღვინის საპატიო ელჩს საპასუხისმგებლო მისია ექნება - ღირსეულად წარადგინოს ქართული ღვინო ქვეყნის გარეთ და იზრუნოს ადგილობრივი ღვინის ცნობადობის ამაღლებაზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია „ქართული ღვინის" ერთობლივი სტრატეგიის შესაბამისად ,,ქართული ღვინის საპატიო ელჩის" საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის, როგორც ერთიანი ბრენდის პოპულარიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

## საკანონმდებლო საკითხები

საანგარიშო პერიოდში დამატებითი ნაბიჯები იქნა გადადგმული ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების ღვინოების საერთაშორისო დაცვის კუთხითაც. კერძოდ, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) თანამშრომლობითა და არაერთი შეხვედრის შედეგად დაიგეგმა ქართული ღვინოების ადგილწარმოშობის დასახელებების (ატენი, ახაშენი, წინანდალი, გურჯაანი, კარდენახი, კახეთი, კოტეხი, ყვარელი, მანავი, მუკუზანი, ნაფარეული, ქინძმარაული, სვირი, თელიანი, ტიბაანი, ტვიში, ვაზისუბანი, ხვანჭკარა) სამართლებრივი დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროცედურები დასრულებულია ბელარუსიასა და ყაზახეთში.

ამავე მიზანს ემსახურებოდა მიმდინარე წლის 17 აპრილს ,,საქპატენტის” ხელმძღვანელობასთან შეხვედრა. შეხვედრაზე, კერძოდ განხილულ იქნა ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე ღვინის მწარმოებელი კომპანიების საქპატენტის სპეციალურ რეესტრში რეგისტრირებისა და რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქტზე ჰოლოგრამის დატანის საკითხები. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ შემდგომ ნაბიჯებზე, რათა მიღწეულ იქნას მაქსიმალური კოორდინაცია უწყებებს შორის, რაც თავის მხრივ შექმნის უფრო პროგნოზირებად გარემოს მოცემულ სფეროში.

,,გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა”-ს მიეძღვნა 2013 წლის 3-4 ოქტომბერს საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ეგიდით სასტუმრო ,,ქორთიარდ მარიოტში” გამართული საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები.

ქართული საექსპორტო ღვინოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და მათი კონტროლის მიზნით ღვინის ეროვნულ სააგენტოში მომზადდა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის №2-164 ბრძანებით ცვლილებები იქნა შეტანილი ,,ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის შესახებ” და ,,ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ” დებულებების, ,,წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის”, ,,ღვინის ჩამოხარისხების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 12 აგვისტოს №2-221 ბრძანებაში.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ,,ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და

ფიტოსანიტარული კონტროლის წესის", ,,ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიცირების წესის", ,,მევენახეობის სპეციფიკური ზონების და მევენახეობის მხარის დადგენის წესის", ,,ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების მიზნით სპეციფიკური ზონიდან ყურძნის გატანის წესის", ,,ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტირების კონტროლის წესის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 12 აგვისტოს №2-220 და ,,ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლისა და დადგენის წესის" და ,,ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის წესის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 20 თებერვლის №2-37 ბრძანებებში, რომელთა შესაბამისად ადგილწარმოშობის დასახელების საექსპორტო ქართული ღვინის წარმოებისას, მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი.

საექსპორტო ღვინოების, კერძოდ ადგილწარმოშობის ღვინოების სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, გრძელდებოდა ინტენსიური მუშაობა ღვინის აკრედიტებულ ლაბორატორიებთან, რომლის მიზანია ქართული საექსპორტო ღვინოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში მომზადდა და საანგარიშო პერიოდში საქართველოში აკრედიტებულ ღვინის ლაბორატორიებთან ხელი მოეწერა მემორანდუმს მომსახურების გაწევის თაობაზე.

მემორანდუმის შესაბამისად, 2013 წლის ივნისის ბოლოს დაიწყო ღვინის (და სხვა სპირტიანი სასმელების) ნიმუშების სრული ან მისი ცალკეული კომპონენტის ლაბორატორიული კვლევა (ტესტირება).

,,ვაზისა და ღვინის შესახებ", ,,საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ" საქართველოს კანონების, ,,ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლისა და დადგენის წესის" და ,,ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის წესის შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 20 თებერვლის №2-37 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ღვინის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობისა და კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებმა მოახდინეს საგარეჯოს რაიონში მდებარე შპს ,,ბატონო"-ს, გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყში მდებარე შპს ,,ალავერდი"-ს, ქ. სენაკში მდებარე შპს ,,ჰელიოსი+"-ს, ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში მდებარე შპს ,,მარნისკარი"-ს კუთვნილ ღვინის კომპანიებში წარმოებული, საექსპორტოდ გამზადებული ღვინის პარტიებიდან საკონტროლო ნიმუშების აღება, რომლებიც ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების დასადგენად ჩაბარდა აკრედიტებულ ღვინის ლაბორატორიებს.

2013 წლის 16 ივლისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების და ადმინისტრციული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გამართეს შეხვედრა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრი - ,,საქპატენტი"-ს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსთან (გიორგი ქურდიანი). შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ქართული ადგილწარმოშობის დასახელების (მუკუზნის) საზღვრების

გაფართოების საკითხი. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ იმ ნაბიჯებზე და სამართლებრივ პროცედურებზე, რომლებიც საჭიროა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ფუნქციონირებისა და განვითარების მიზნით სააგენტოში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებაზე, შესაბამისი პროგრამების, ტექნიკურ-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის, კანონპროექტებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებასა და სხვა საკითხებზე.

დარგის საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ ,,ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შემდგომი დახვეწისა და დარგის ეფექტური, სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმების შემუშავებისა და საკანონმდებლო თუ სხვა ნორმატიული აქტების შემდგომი ჰარმონიზაციის მიზნით, სააგენტოს თავმჯდომარის ლევან დავითაშვილის 2013 წლის 12 აპრილის ბრძანების შესაბამისად სააგენტოში შეიქმნა სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოს „ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავების ჯგუფი, რომელსაც დაევალა საქართველოს კანონში ცვლილების შესახებ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება-მომზადების უზრუნველყოფა. ჯგუფი, რომლის პირველი სხდომა უკვე 2013 წლის 2 მაისს გაიმართა, აქტიურად მუშაობს პროგრესული, ნოვაციური მეღვინეობა-მევენახეობის დარგის სხვადასხვა მარეგულირებელი, თანამედროვე მოთხოვნების, გამოწვევების შესაბამისი ნორმებისა და ნორმატივების, ეფექტური საკანონმდებლო ნორმებისა და ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაზე, რაც ხელს შეუწყობს დარგის საქმიანობის ეფექტურად წარმართვას და ქართული მაღალხარისხოვანი ღვინის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ახალი რეგულაციების დადგენას. აღნიშნული ქმედებები მინიმუმამდე დაიყვანს ქართული ღვინის ფალსიფიცირების ნებისმიერ გამოვლინებას. ახალი საკონონმდებლო და ნორმატიული ბაზა ხელს შეუწყობს ,,ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, ევროკავშირთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციას და უზრუნველყოფს საკანონმდებლო ვაკუუმის შევსებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მეღვინეობის სფეროში დასაქმებულ მეწარმეთა საქმიანობასა და მათ სტიმულირებას.

ზემოხსენებულ სამუშაო ჯგუფს, მოქმედი საკანონმდებლო აქტის ძირეული შესწავლის, ანალიზის და დასკვნის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია ,,ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელდეს ისეთი არსებითი ცვლილების შეტანა, რომლებიც დარგის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტის ნორმებს უფრო მოქნილ და ქმედით ძალას შესძენს და დაუახლოვებს ევროპულ სტანდარტებთან. შესაბამისად, კანონში იცვლება და ახლებურად ყალიბდება ტერმინთა განმარტებები, რასაც არსებულის გარდა, ამავდროულად დაემატება თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე განმარტებები, დაიხვეწება და გასწორდება სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

ცვლილებების კანონპროექტის შემუშავების ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ სახელმწიფოს ბიუჯეტის სახსრების დაფინანსებით და სახელმწიფო ხელშეწყობით კანონმდებლობით განისაზღვროს და დადგინდეს მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი ცენტრის (ინსტიტუტის) დაფუძნება/აღორძინება, რომელიც გახდება ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის შესწავლისა და კვლევის მარეგლამენტირებელი ორგანო. ასევე კანონით დადგინდება ქართული ვაზის უმდიდრესი და უნიკალური გენეტიკური რესურსის დაცვისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები.

პროექტით, აგრეთვე გათვალისწინებული იქნება ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია, საქართველოში ნებადართული ვაზის ჯიშების წარმოების და მევენახეობის ზონების მიხედვით რეკომენირებული ჯიშების ჩამონათვალი და ა.შ. კანონში დაიხვეწება და გაფართოვდება, ამჟამად არსებული მევენახეობის ზონები და ქვეზონები. დადგინდება ვაზის სარგავი მასალების წარმოების კონტროლი და და განხორციელდება ამ სახის სამეწარმეო საქმიანობით დაინტერესებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სავალდებულო რეგისტრაცია და მარეგისტრირებელი ორგანო (ღვინის ეროვნული სააგენტო).

ასევე პროექტით დადგინდება უმაღლესი ხარისხის ვაზის ნერგის სერტიფიცირების (საკითხები) ცნება და მისი წესი, რაც საშუალებას მისცემს საწარმოებს სერტიფიცირების გზით დაადასტურონ საქართველოში წარმოებული ნერგის ჯიშობრივი და ფიტოსანიტარული სისუფთავე. ნოვაციები წარმოდგენილი იქნება მეღვინეობის პროდუქციის კლასიფიკაციის მხრივ და იგი შესაბამისობაში მოვა ,,ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის" (OIV), ევროკავშირისა და სხვა წამყვანი ქვეყნების კლასიფიკაციებთან. დადგინდება ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების, რეგისტრაციის და კონტროლის, ასევე ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რეალიზაციისა და ჩამოხარისხების განსაკუთრებული პირობები და მექანიზმები.

დაზუსტდება და თანამედროვე გამოწვევებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი იქნება ,,ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმები და პრინციპები. კანონპროექტზე მუშაობა კვლავ გრძელდება და მიმდინარე წლის დასასრულისათვის შესაძლებელი იქნება მისი წარდგენა შესაბამის სახელმწიფო უმაღლესი ორგანოებისათვის.

,,ვაზისა და ღვინის შესახებ" და ,,საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ" საქართველოს კანონებში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, რომელიც მიმდინარე წლის 18 ივლისს, თბილისში, სასტუმრო ,,ბეტსიში" გაიმართა.

საქართველოს პარლამენტის წევრების გარდა შეხვედრას ესწრებოდნენ. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნუგზარ ბაღათურია, აიპ საქართველოს ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარე მურმან ქურიძე, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე და სააგენტოს თანამშრომლები და სხვა მოწვეული დარგის მეცნიერები, ექსპერტები და სპეციალისტები. სხდომის ჩატარების მიზანს ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა წარმოადგენდა. სხდომაზე განიხილეს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოსის ნუგზარ ბაღათურიასა და აიპ საქართველოს ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრის მურმან ქურიძის მიერ წარმოდგენილი პროექტები.

შეხვედრაზე წარმოდგენილ კანონპროექტებთან მიმართებით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები. პროექტების საფუძვლიანი განხილვის შემდეგ გადაწყდა, გაგრძელდეს მუშაობა მათ შეჯერებასა და საბოლოოდ, საქართველოს მთავრობაში შეთანხმებული პროექტის წარდგენის მიზნით. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრები და დისკუსიები მომავალშიც გაგრძელდება.

ბულგარეთის, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის გამოცდილებისა და მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში არსებული კანონმდებლობის გაცნობისა და ამ მიზნით სემინარში მონაწილეობის მისაღებად, მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით სოფიაში იმყოფებიან ღვინის

ეროვნული სააგენტოს ანალიზისა და სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის მართვისა და კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 11 მარტის №2-167 ბრძანებით (რომლის პროექტი მომზადებული იქნა სააგენტოს მიერ), ცვლილებები იქნა შეტანილი სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულებაში, რომელთა შესაბამისად სრულიად დაიხვეწა სააგენტოს სტრუქტურა, შეიქმნა მობილური და ქმედითი სამსახურები, განისაზღვრა მათი უფლება მოვალეობანი. არსებული ვალდებულებების გარდა, მინისტრის ბრძანებით სააგენტოს ვენახის ერთიანი კადასტრის წარმოება და სხვა ახალი ფუნქციები დაეკისრა.

2013 წლის 19 ივნისს ღვინის ეროვნული სააგენტოს დელეგაცია, სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა ესპანეთში, კერძოდ, მევენახეობით მსოფლიოში ცნობილ ლა რიოხას რეგიონში.

დელეგაციის ვიზიტის მიზანს, რომლის შემადგენლობაშიც სააგენტოს ხელმძღვანელთან ერთად შედიოდნენ ადმინისტრაციული და ვენახების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტების უფროსები, წარმოადგენდა ლა რიოხას მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს რეგულირების, ვენახების აღრიცხვიანობის და ზოგადად მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს ფუნქციონირების პრაქტიკული ასპექტების გაცნობა, აგრეთვე ესპანეთის, განსაკუთრებით ლა რიოხას გამოცდილება ვენახების კადასტრის განხორციელების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს დელეგაციის ესპანეთში ვიზიტმა შესაძლებელი გახადა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები საქართველოში ვენახების კადასტრის დანერგვის კუთხით, რაც საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლის უდაო წინაპირობას წარმოადგენს.

ამავე მიზნით, 2013 წლის 1-6 სექტემბერს იტალიაში იმყოფებოდა სააგენტოს ვენახების აღრიცხვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი ბ-ნი დავით მაღრაძე, რომელსაც შეხვედრები ჰქონდა იტალიურ კომპანია ABACO–ში, რომელსაც დიდი გამოცდილება გააჩნია მევენახეობის კადასტრის შესაქმნელად საჭირო ელექტრონული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების მხრივ. შეხვედრაზე, იტალიურმა კომპანიამ წარმოადგინა თავისი ოცწლიანი საქმიანობის პერიოდში პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობით (მათ შორის კომპანიები “Oracle” და “Digital Globe”) GIS რუკებზე დაყრდნობით შექმნილი პროდუქტები და მათი გამოყენების ძირითადი სფეროები (მათ შორის სოფლის მეურნეობაში) და გეოგრაფია. მიღწეული იქნა შეთანხმება კომპანიის წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტის შესახებ.

2013 წლის 28-30 ოქტომბერს ღვინის ეროვნულ სააგენტოს საპასუხო ვიზიტით ეწვია იტალიური კომპანია ABACO-ს ექსპერტი ფაბიო სლავიერო (Fabio Slaviero, International Business Development), რომელმაც წარმოადგინა თავისი კომპანიის ელექტრონული პროდუქტები, რომელთა გამოყენებაც იგეგმება საქართველოს მევენახეობის კადასტრის აგებისათვის.

ჩატარდა შეხვედრები საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთაბ ბ-ნ ილია კვიტაიშვილთან და სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის წარმომადგენლებთან და სხვ.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში გამართულ ერთობლივ შეხვედრებზე დაისახა იტალიურ კომპანიასთან თანამშრომლობის პერსპექტივები საქართველოში ვენახების კადასტრის შექმნის მიმართულებით.

2013 წლის 16 ივლისს ქართული ადგილწარმოშობის დასახელების (მუკუზნის) საზღვრების გაფართოების საკითხის განხილვის მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრი - ,,საქპატენტი"-ს შორის. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ იმ ნაბიჯებზე და სამართლებრივ პროცედურებზე, რომლებიც საჭიროა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად.

## თანამშრომლობა ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან

საანგარიშო პერიოდში ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებდა ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან თანამშრომლობას. მოეწყო არაერთი შეხვედრა სხვადასხვა კომპანიების ხელმძღვანელებთან, განხორციელდა ღვინის ქარხნებისა და საწარმოო ბაზების დათვალიერება. შეხვედრების ძირითად მიზანს, პროდუქციის ექსპორტთან (მათ შორის რუსეთის ბაზარზე) დაკავშირებული საკითხების განხილვა წარმოადგენდა.

## თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან

ღვინის ეროვნული სააგენტო დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობასა და მათთან კოორდინაციას ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების სხვადასახვა ეტაპებზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის 2013 წლის 10 ივლისის #32 ბრძანებით სააგენტოში შეიქმნა მარკეტინგული საბჭო, რომლის შემადგენლობაში ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად შედიან საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტი"-ს, ასოციაცია ქართული ღვინის წარმომადგენლები.

მარკეტინგული საბჭოს შექმნის ძირითად მიზანს ქართული ღვინის პოპულარიზაციის ერთიანი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შემუშავება, ამ მიმართულებით ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და წარმართვა, სახელმწიფო და კერძო უწყებებს შორის პარალელიზმისა და არაკოორდინირებულობის აღმოფხვრა წარმოადგენს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავდა მარკეტინგული საბჭოს დებულება, რომლის მიხედვითაც, საბჭოს საქმიანობის მიზანია: ღვინის ეროვნული დარგის ეფექტიანად წარმართვა, მისი მარკეტინგული სფეროს განვითარება, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, მათი განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება. მნიშვნელოვანია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს, შესაბამისი სამინისტროების, მეღვინეობის სფეროში მოქმედი კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული მარკეტინგული საბჭო ის ძირითადი ორგანოა, რომელიც შეიმუშავებს მეღვინეობის სფეროს განვითარების სტრატეგიულ მარკეტინგულ და სამოქმედო გეგმებს. მარკეტინგული საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებისათვის დარგის საერთო სტრატეგიის შემუშავება გახდება. მარკენტინგული საბჭო კოორდინირებულად განახორციელებს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებისაკენ მიმართულ პრიორიტეტული ღონისძიებების შემუშავებას; შეისწავლის, განიხილავს და დაამტკიცებს სტრატეგიულ მარკეტინგულ საპროგნოზო გეგმებსა და ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშემწყობ, ღვინის ხარისხის ამაღლებისაკენ მიმართულ პრიორიტეტულ

ღონისძიებებს; განიხილავს მეღვინეობის სფეროში არსებულ უახლეს პროექტებს, თანამედროვე მიღწევებს, შეიმუშავებს შესაბამისი რეკომენდაციების პაკეტს. მოამზადებს და ქართული ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიებს წარუდგენს წინადადებებს დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენების ეფექტურად მოწყობის თაობაზე.

## ქართული ღვინის ექსპორტი

საანგარიშო პერიოდში სააგენტო აგრძელებდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობას, როგორიცაა ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს ძალისხმევა მიმართულია, როგორც რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით, ასევე განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ღვინის კომპანიებთან თანამშრომლობას, რომ მათ გააგრძელონ აქტიური მუშაობა ქართული ღვინის გასაღების ახალი ბაზრების ათვისებისა და სხვა, უკანასკნელ წლებში გახსნილ ბაზრებზე ღვინის ექსპორტის შემდგომი ზრდის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის ძირითადი შედეგი, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნება წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სხვა უწყებების ერთობლივი მუშაობის შედეგად 2013 წლის ივნისის შუა რიცხვებში ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელმა კომპანიებმა თავიანთი პროდუქციის პირველი პარტიები გადატვირთეს რუსეთის ფედერაციაში.

აღნიშნულ ფაქტს წინ უსწრებდა, საანგარიშო პერიოდში აქტიური მუშაობა რუსეთის შესაბამის უწყებებთან.

თებერვლის ბოლოს (25.02-01.03.2013), ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების სანიტარულ-ჰიგიენური ინსპექტირების მიზნით, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის ,,როსპოტრებნადზორის'' 6 წარმომადგენელი.

2013 წლის 1-5 აპრილს, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების სანიტარულ-ჰიგიენური ინსპექტირების მიზნით საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის ,,როსპოტრებნადზორის" ექსპერტთა მეორე ჯგუფი 6 კაცის შემადგენლობით. ექსპერტთა მიერ განხორციელა იმ ღვინის საწარმოების ინსპექტირება, რომელთა შემოწმებაც პირველი ინსპექტირებისას ვერ მოესწრო.

2013 წლის 16-20 სექტემბერს საქართველოში იმყოფებოდა ,,როსპოტრებნადზორის" ექსპერტთა მესამე ჯგუფი, რომლებმაც აჭარაში, რაჭაში, ქართლსა და კახეთში ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების 39 კომპანიის ინსპექტირება განახორციელეს.

სააგენტოს მიერ ჩატარებული სამუშაოების ეფექტიანობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქართული ღვინის მწარმოებელმა 95 კომპანიამ ინსპექტირების პროცესი წარმატებით გაიარა.

კომპანიების შემოწმების შედეგად რუსეთის მხარის მიერ მიღებული იქნა დადებითი დასკვნები და შემოწმებაგავლილ კომპანიებს მიეცათ უფლება რუსეთის ფედერაციაში თავიანთი პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაციის, რაც ბოლო ეტაპი იყო ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნების საქმეში.

საანგარიშო პერიოდში ღვინის ეროვნული სააგენტოს ზემოთ აღნიშნული მრავალმხრივი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია ქართული ღვინის ექსპორტის ზრდისა და გასაღების ბაზრების გეოგრაფიის გაფართოების დამადასტურებელი სტატისტიკური მაჩვენებლები.

2013 წელს ღვინის ექსპორტმა შეადგინა სულ 46,7 მლნ. ბოთლი, რაც ორჯერ აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს (ცნობისათვის: 2012 წელს სულ განხორციელდა 23,3 მლნ. ბოთლი ღვინის ექსპორტი). ზრდა შეინიშნება (2%-მდე), თუმცა შედარებით მოკრძალებული, რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტის მონაცემების გათვალისწინების გარეშეც.

2013 წელს ქართული ღვინის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 231 829 540 აშშ დოლარი, რაც 68 მლნ აშშ დოლარით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2012 წელთან შედარებით, ექსპორტი გაზრდილია უკრაინაში (7%-ით), ყაზახეთში (1%-ით), ბელარუსიაში (2%-ით), პოლონეთში (12%-ით), ინგლისში (61%-ით), ლიტვაში (3%-ით), ჰონკონგში (16%-ით), ნიდერლანდებში (17%-ით), ფინეთში, სომხეთში, საფრანგეთში და ა.შ.

## ➢ საერთაშორისო მიმართულება

ევროკავშირთან თანამშრომლობით შემუშავდა ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD), რომელიც საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირებას ისახავს მიზნად 2013 წელს დაიწყო. პროგრამის მიზანია მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისთვის ხელის შეწყობა, საქართველოში სურსათის წარმოების მოცულობის ზრდა და სოფლად სიღარიბის დონის შემცირება. **აღნიშნული პროექტით საქართველო მიიღებს 40 მილიონი ევროს გრანტს სოფლის მეურნეობის სექტორის გასავითარებლად.** აქედან დაახლოებით ნახევარი იქნება საბიუჯეტო დახმარება, ხოლო 15 მლნ ევრო მოხმარდება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას.

ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტს (ASP). პროექტი სრულდება 2014 წლის 30 სექტემბერს. პროექტს მთლიანად აფინანსებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD). სესხის თანხაა დაახლ. 8 130 000 აშშ დოლ. გრანტის თანხაა დაახლ. 213 000 აშშ დოლ.

აღნიშნული პროექტისათვის IFAD –მა კიდევ დამატებით გამოყო დაახლ. 4 924 000 აშშ დოლარი. სესხის ადმინისტრირებას ახორციელებს და პროექტს ზედამხედველობას უწევს სოფლის მეურნობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD). პროექტის ფარგლებში გახარჯულია IFAD –ის სასესხო რესურსიდან 3,160,585 აშშ დოლარი, ხოლო საგრანტო რესურსიდან 53,970.89 აშშ დოლარი. პროექტი შედგება ორი კომპონენტისაგან

პირველი კომპონენტი – **"ლიზინგო ოპერაციების მხარდაჭერა სოფლად"** –ღირებულება 4.916,900 აშშდოლარი

კომპონენტის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ლიზინგის სისტემის განვითარების ხელშეწყობა. კომპონენტში გათვალისწინებული საქმიანობები საშუალებას აძლევს სოფლის მურნეობაში დასაქმებულ მცირე და საშუალო მეწარმეებს ლიზინგით შეიძინონ სხვადასხვა სახის სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებები. დღეისათვის სალიზინგო ოპერაციები ხორციელდება თი-ბი-სი ლიზინგის მეშვეობით, რომელთანაც 2,5 მლნ აშშ დოლარზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაფორმებული აქვს მეორად სესხზე ხელშეკრულება. დღეისათვის სულ დაფინანსებულია 9 ქვე-პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 1,032,412.15 აშშ დოლარს. სავარაუდოდ მიმდინარე წლის ბოლომდე თი-ბი-სი ლიზინგი აითვისებს გამოყოფილ თანხას 2,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

მეორე კომპონენტი - „**სოფლად მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარება**" – ღირებულება 9,8 მლნ აშშ დოლარი. კომპონენტის მიზანია სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, რაც თავისთავად გულისხმობს სოფლის გზების, ხიდების, სასმელი წყლის, საირიგაციო სისტემების და ა.შ. მშენებლობა-რეაბილიტაციას. დღეისათვის დასრულებულია შემდეგი ინფრასტრუქტურის პროექტები:

- საგარეჯოს რაიონში სოფ. იორმუნღალოში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები – ღირებულება 189,063,84 ლარი
- მარნეულის რაიონში, სოფ. ჯანდარაში ახალი ხიდის მშენებლობა – ღირებულება 318,501,17 ლარი
- ორივე ხიდს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონის მოსახლეობისათვის, ვინაიდან ორივე ხიდი გადის ცხვრის გადასარეკ ტრასაზე და აკავშირებს სოფლებს ცხვრის საძოვრებთან.
- მცხეთისა და დუშეთის რაიონებში ლამი-მისაქციელის საირიგაციო არხის I, II და III ეტაპების რეაბილიტაცია – სამივე ეტაპის საერთო ღირებულება 1,390,544.00 ლარი. აღნიშნული საირიგაციო არხი არის 24,4 კმ სიგრძის და რწყავს 3500 ჰექტარს და ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენს 1500 კომლს
- გორისა და კასპის რაიონებში დოეს-გრაკალის საირიგაციო არხის რეაბილიტაცია - ღირებულება 608,572 ლარი. საირიგაციო სისტემის სიგრძეა 17,2 კმ და რწყავს 1535 ჰექტარს, ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენს 2000 კომლს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს პირველად 10 წლის შემდეგ არხის რეაბილიტაციის შედეგად სარწყავი წყალი მიეწეოდა არხის ბოლო სოფელს გრაკალს.
- ამბროლაურის რაიონში, სოფ. ჭრებალოში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა – 1,164.226.06 ლარი
- ამჟამად მიმდინარეობს ახალქალაქის რაიონში ლომა-ტურციხის საირიგაციო არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 1.292,390 ლარს.
- მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 9 (მარნეულის და კასპის მუნიციპალიტეტებში მდებარე) საირიგაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება.

## დაგეგმილი პროექტები

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა (IFAD) საქართველოსათვის უკვე მიიღო გლობალური გარემოს ფონდის მიერ (GEF) გამოყოფილი 5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრანტი.

ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა IFAD –თან აღნიშნული გრანტის გამოყენების პრინციპებზე, ძირითადად ინვესტიცია გამოყენებული იქნება საირიგაციო წყლის რაციონალური მოხმარების სისტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად, მორწყულ ნაკვეთებზე ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად, სასოფლო-სამეურნო კულტურების დივერსიფიკაციისათვის, გაუმჯობესებული მიწის მართვის პრაქტიკის დანერგვისათვის, დიდი ყურადღება დაეთმობა კლიმატის ცვლილების, ნიადაგების ეროზიის კონტროლის საკითხებს.

აღნიშნული გრანტი გაიხარჯება მსოფლიო ბანკისა და IFAD –მიერ დაფინანსებულ ახალი “ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების” პროექტის ფარგლებში.

აღნიშნული პროექტის მიზანია საქართველოში საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია, აგრეთვე წყლის მომხმარებელთა ინსტიტუციონალური მხარდაჭერა და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 75 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც 50 მლნ აშშ დოლარს დააფინანსებს მსოფლიო ბანკი, 13,8 მლნ აშშ დოლარს IFAD, 5,3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრანტს დააფინანსებს GEF, 6 მლნ აშშ დოლარს – საქართველოს მთავრობა, ბენეფიციარები.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დაგეგმილია მსოფლიო ბანკის ე.წ. პროექტის მოსამზადებელი მისია, პროექტის საბოლოო შეფასების დასრულება დაგეგმილია 2013 წლის დეკემბრის თვეში, მოლაპარაკებები დაგეგმილია 2014 წლის თებერვალში, პროექტის მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოზე გატანა მოხდება 2014 წლის აპრილის თვეში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ნიდერლანდების სამეფოს IRIO-ს სააგენტოს საგრანტო განაცხადი შეიტანა, რაც გულისხმობს ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტის დაწყებას. პროქტის საგრანტო ნაწილი გულისხმობს ORIO-ს მხრიდან 16 მლნ.ევრომდე დაფინანსების გამოყოფას, აღნიშნული თანხა მოხმარდება ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის ძირითადი და მეორადი არხების აღდგენას. გარდა ამისა დაწყებულია მუშაობა იაპონიის განვითარების სააგენტოსთან (JICA) სამომავლო თანამშრომლობის პროექტების იდენტიფიცირებისთვის.

## ➢ ახალი საკანონმდელო ინიციატივები

**შემუშავდა და ძალაში შევიდა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის ამოქმედებაც მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს ქართული სოფლის მეურნეობის განვითარებას.**

- კანონის ამოქმედების პარალელურად, საკომლო-საოჯახო მეურნეობების კოოპერირების სწორად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით, **სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალ სტრუქტურას - სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ქმნის.** აღნიშნული უწყება უფლებამოსილი იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებითვის სტატუსის მინიჭებაზე, შეწყვეტასა და მონიტორინგზე; ამასთან, განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებს.

**საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ „ბიოწარმოების შესახებ“ შემუშავებული დადგენილება მიიღო.**

- **„ბიოწარმოების შესახებ“** დადგენილების მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის მართვის მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მომხმარებელთა ინტერესის დაცვას და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. პროექტი ასევე ითვალისწინებს იმ მწარმოებლების დაცვას, რომლებიც აწარმოებენ ბიოპროდუქციას (პროდუქტს რომლის ეტიკეტზე/ნიშანდებაზე დატანილია სიტყვები - ,,ბიო“, ,,ორგანული“, ,,ეკო“). აღნიშნული დადგენილების მიღება ქართული პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას განაპირობებს.

აღსანიშნავია, რომ ქართული ბიოპროდუქტი, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, გამოირჩევა თავისი გემური თვისებებით.

**„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნულ პროექტზე ევროკავშირის მიერ გამოთქმული შენიშვნების განხილვა და მათი გათვალისწინება, რის შემდეგაც პროექტი შესათანხმებლად გადაეგზავნება დაინტერესებულ სამინისტროებს).**

აღნიშნული ცვლილებების შემუშავების მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა, სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, საქართველოში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მყარი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში (სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოში) **მიმდინარეობს მუშაობა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“** საქართველოს კანონის პროექტზე, რომლის შესაბამისად დაიხვეწება მოძველებული ნორმები და კანონი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

**შემუშავებულია „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.** (აღნიშნული პროექტი, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს).

კანონპროექტის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის ხელშეწყობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო შეღავათების განხორციელება, რაც, საბოლოო ჯამში, დადებით ასახვას ჰპოვებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ხელს შეუწყობს ქვეყანაში აგრარული სფეროს განვითარებას. პროექტის შესაბამისად, დღგ-სგან გათავისუფლდება კვერცხის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე); პროექტის თანახმად, იმპორტის გადასახადისაგან თავისუფლდება სათესლე კარტოფილის იმპორტი.

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, დარგის ექსპერტების მონაწილეობით, შემუშავდა „საგარეო ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების შესახებ“ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები.** (შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს).

აღნიშნული კანონპროექტი განსაზღვრავს საგარეო ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების შემოღებისა და გამოყენების წესს, სპეციალური კვლევის ჩატარების წესს და კვლევის ჩატარებაზე უფლებამოსილ ორგანოს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ გარემოებებში დიდი ოდენობით საქონლის იმპორტის დროს.

## ➢ სურსათის ეროვნული სააგენტო

2013 წლიდან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განსაკუთრებით გააქტიურა სურსათის უვნებლობის კუთხით სახელმწიფო კონტროლი; კერძოდ: ინსპექტირების რაოდენობა გაზრდილია 3-ჯერ, ხოლო საჯარიმო სანქციების რაოდენობა გაზრდილია 7-ჯერ (ბოლო 3 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში). 2013 წლიდან მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქვეყნის

შიდა ბაზარზე ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენა - შემდგომში ღონისძიებების გატარებით.

## სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი

(მონიტორინგი, ნიმუშის აღება)

სურსათის უვნებლობის სფეროში 2013 წლის განმავლობაში შესყიდული და აკრედიტირებულ ლაბორატორიებში გამოკვლეული იყო სხვადასხვა დასახელების სურსათის (მ/შ სასმელი წყლის) 653 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 175 ნიმუშში, რაზეც განხორციელდა კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები;

ქვეყნის მასშტაბით, ვეტერინარული მოწმობა ფორმა N2-ის გარეშე ხორცის რეალიზაციის ფაქტებისა და ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით, მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა სურსათის 1 400 სარეალიზაციო ობიექტში;

ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის გამო 300 ლარით დაჯარიმდა 174 ფიზიკური და იურიდიული პირი (გასულ წელს ანალოგიური დარღვევისთვის დაჯარიმდა სულ 15 პირი);

ვეტერინარული მოწმობა ფორმა #2-ის გარეშე ხორცის რეალიზაციის გამო 1000 ლარით დაჯარიმდა 102 ბიზნესოპერატორი (2012 წელს მსგავსი დარღვევისათვის დაჯარიმდა მთელი წლის განმავლობაში 25 ბიზნესოპერატორი);

ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული მავნე სურსათის/ცხოველის საკვების გამოთხოვასთან და ამ მიზნით მიღებულ ზომებთან დაკავშირებით სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინებისთვის თავის არიდების გამო 200 ლარით დაჯარიმდა 1 ბიზნესოპერატორი;

სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე ხელის შეშლის გამო, 400 ლარით დაჯარიმდა 2 ბიზნესოპერატორი;

სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ გამოვლენილია (ვადაგასული და/ან მავნე) და მათი ზედამხედველობით განადგურდა - 257 847კგ მყარი სურსათი; 2 248 ლ თხევადი სურსათი; 12 975 კგ ხორცი და ხორცპროდუქტები; 1 მლნ ცალზე მეტი სასურსათო კვერცხი;

2013 წელს, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის მიერ, პირველად ევრორეგულაციის EC 2073/2005 „მიკრობიოლოგიური კრიტერიუმები სურსათისათვის" შესაბამისად, ხორციელდება სურსათში Listeria monocytogenes ლაბორატორიული კვლევა;

ევროკავშირში თაფლის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, 2013 წელს პირველად განხორციელდა თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევა;

## ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები და იმპორტირებული სურსათი:

- კამეჩის/საქონლის ხორცი - ინდოეთი, ბრაზილია, გერმანია;
- ღორის ხორცი - ბრაზლია, კანადა, ჰოლანდია;
- ღორის ქონი - ესპანეთი, იტალია, ჰოლანდია;
- ცოცხალი საკლავი ღორი - უნგრეთი, დანია, გერმანია;
- ქათამი/ქათმის ნაწილები - აშშ, ბრაზილია, თურქეთი, უკრაინა;
- გაყინული თევზი - ნორვეგია, ახალი ზელანდია, ესპანეთი, კანადა, აშშ;
- რძის პროდუქტები - უკრაინა, რუსეთი, საფრანგეთი;

- ბოსტნეული - თურქეთი, ყირგიზეთი, უკრაინა;
- სასურსათო კვერცხი - თურქეთი, უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა, ირანი,

**სურსათისა და ცხოველის საკვების ინსპექტირების დეპარტამენტი**

- **გეგმური ინსპექტირება** - 673 ბიზნესოპერატორთან;

ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო - 10; ხორცისა და ხორცპროდუქტების რეალიზაცია - 68; საზოგადოებრივი კვების ობიექტი - 104; მარკეტი – 102; სასაკლაო – 47; საკონდიტრო – 6; თაფლის წარმოება – 4; საკვებდანამატების იმპორტი, რეალიზაცია, დასაწყობება – 5; მეფრინველეობა – 21; საბავშვო ბაგა-ბაღი – 144; აგრარული ბაზარი – 23; პურისა და პურფუნთუშეულის წარმოება – 26; თევზისა და თევზპროდუქტების წარმოება – 7; მეთევზეობა (სატბორე მეურნეობა) - 17; ნახევარფაბრიკატები – 5; რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 24; ნაყინის წაროება – 3; მზა კერძების წარმოება – 7; დისტრიბუცია – 12; საშაურმე - 6; უალკოჰოლო სასმელების წარმოება - 5; წისქვილკომბინატი, ფქვილის წარმოება - 8; ფქვილის, ფქვილოვანი პროდუქტისა და ბურღულის წარმოება - 1; სოკოს სათბური - 1; თევზისა და თევზის პროდუქტების იმპორტი, სასაწყობე მაცივრები - 1; რძე და რძის პროდუქტების წარმოება - 3; ალკოჰოლური სასმელების წარმოება, ჩამოსხმა – 3;

- **არაგეგმური ინსპექტირება** - 232 ბიზნესოპერატორთან; სასაკლაო – 9; მარკეტი – 39; მზა კერძები – 4; მეფრინველეობა – 1; წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება – 7; ალკოჰოლური სასმელების წარმოება, ჩამოსხმა – 68; უალკოჰოლო სასმელების წარმოება – 8; საბავშვო ბაგა-ბაღი – 13; საზ. კვების ობიექტი – 20; რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 4; ხორცის და ხორცპროდუქტების რეალიზაცია – 16; აგრარული ბაზარი – 11; დისტრიბუცია – 5; დაფნის დაფასოება – 1; თევზისა და თევზპროდუქტების წარმოება – 6; პურისა და პურფუნთუშეულის წარმოება – 3; ხორცის ნახევარფაბრიკატების წარმოება - 6; ფერმა - 2; რძე და რძის პროდუქტების წარმოება - 1; საკონდიტრო - 2; დისტრიბუცია 2; თევზის რეალიზაცია 1; საშაურმე 1.
- **გადამოწმება**

მიცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით, გადამოწმდა - 1120 საწარმო: ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 39;
ხორცისა და ხორცპროდუქტების რეალიზაცია – 67; სასაკლაო – 104; საზოგადოებრივი კვების ობიექტი – 295; მზა კერძების წარმოება - 14; მარკეტი – 140; ნახევარფაბრიკატების წარმოება – 22; საკონდიტრო – 34; რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო – 46; სადისტრიბუციო ქსელი – 15; ალკოჰოლური სასმელების წარმოება, ჩამოსხმა – 40; მაცივარი - 3; მეფრინველეობა – 24; პურისა და პურფუნთუშეულის წარმოება – 35; საბავშვო ბაგა-ბაღი - 127; სასაწყობე მეურნეობა - 4;
საკონსერვო წარმოება – 12; პირველადი წარმოება – 3; თევზისა და თევზპროდუქტების წარმოება – 14; აგრარული ბაზარი – 25; უალკოჰოლო სასმელების წარმოება, ჩამოსხმა – 19; ცხოველური საკვების წარმოება – 1; დაფნის წარმოება - 1; თაფლის წარმოება - 4;
მარკეტი - 98; საკვებდანამატების იმპორტი, რეალიზაცია - 5; ხორცის ნახევარფაბრიკატების წარმოება - 15; დისტრიბუცია -10; სკოლის სასადილო - 1;
წისქვილკომბინატი - 2; უალკოჰოლო სასმელები - 2; საშაურმე - 5; ბავშვთა გასართობი ცენტრი - 1.

- შემოწმებული ბიზნესოპერატორებიდან არაკრიტიკული შეუსაბამობების გამო მიცემული რეკომენდაციების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა - 278 ბიზნესოპერატორი, აქედან 26 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა განმეორებით;

- კრიტიკული შეუსაბამობების აღმოჩენის გამო - 19 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 1000 ლარით;
- 2013 წლის პრიორიტეტები იყო: ბაგა-ბაღები, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიები და სასაკლაოები.

## თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდათ - 2 196 699 სულ ამთვისებელ ცხოველს, აქედან, 1 927 603 მსხვილფეხა და 784 317 სულ წვრილფეხა პირუტყვს. ვაქცინაციის შედეგად შექმნილი იმუნური ფონის შედეგად, მინიმუმამდეა დაყვანილი ქვეყანაში დაავადების შემოჭრა-გავრცელების რისკი. მოსახლეობა დაცული იქნება აღნიშნული დაავადების შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზარალისაგან. ასევე, ქვეყანა აირიდებს თავიდან დაავადების შედეგად გამოწვეულ საერთაშრისო ვაჭრობის სფეროში შეზღუდვებს (ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი);




## ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია

2013 წელს ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაცია განხორციელდა ორ ეტაპად;

პირველ ეტაპზე პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა: 143 271 ცხოველს, მათ შორის, 75 524 სულ მსხვილფეხა, 66 890 სულ წვრილფეხა პირუტყვს და 857 სულ ცხენს;

მეორე ეტაპზე (წინასწარი ინფორმაციით) პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა: 153 516 სულ ცხოველს, მათ შორის, 123 037 სულ მსხვილფეხა, 30 479 სულ წვრილფეხა პირუტყვს და 624 სულ ცხენს;

გარდა პროფილაქტიკური ვაქცინაციისა, ჯილეხის ინფექციის კერებში ხორციელდება იძულებითი ვაქცინაციაც. დღევანდელი მონაცემებით, წელს ვაქცინირებულია 34 980 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი;

ჯილეხზე ვაქცინირებულ და დაავადებულ ცხოველთა რაოდენობა საქართველოში 2012-2013 წლებში



## ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

2013 წელს, ქვეყნის ტერიტორიაზე ლაბორატორიული კვლევებით დაფიქსირდა ცოფის 110 შემთხვევა;

ინფექციის კერებში იძულებით ვაქცინირებულია 30 043 სული ცოფის ამთვისებელი ცხოველი;

პროფილაქტიკური ვაქცინაციის კამპანიის შედეგად, დღემდე ვაქცინირებულია - 110 186 შინაური ხორცისმჭამელი ცხოველი;

პროფილაქტიკის მიზნით ჩატარებული ვაქცინაციისა და ინფექციის კერებში გატარებული ღონისძიების შედეგად, ქვეყანაში მიღწეულია სტაბილური ეპიზოოტიური სიტუაცია.

ცოფზე ვაქცინირებულ და დაავადებულ ცხოველთა რაოდენობა საქართველოში 2012-2013 წლებში




## ცხოველთა იდენტიფიკაცია

2013 წელს, ქვეყნის მასშტაბით დაიგეგმა და დღემდე მიმდინარეობს ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია; იდენტიფიცირებულია - 130 153 სული მსხვილფეხა პირუტყვი;

## ბრუცელოზზე პროფილაქტიკური ღონისძიებები

ბრუცელოზზე გამოკვლეულია მაღალი რისკის ჯგუფის ცხოველების 1366 სინჯი, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 376 სინჯი. დაავადების კერებში გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები; ქვეყნის ტერიტორიაზე მოცირკულირე ბრუცელოზის დაავადების აღმძვრელის ტიპიზაციის დადგენის მიზნით აღებულია 29 საკვლევი მასალა.

## ცოცხალი ცხოველების ექსპორტი

ქვეყნის ეპიზოოტიურმა კეთილსაიმედოობის გაზრდამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ცოცხალი ცხოველების ექსპორტი;

მიმდინარე წელს ქვეყნიდან ექსპორტირებულია: 118 811 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 161 514 სული წვრილფეხა პირუტყვი, 283 სული ცხენი;



## მცენარეთა დაცვა

2013 წელს საქართველოში აღინიშნა საშიში მიგრაციული მავნებლის – იტალიური კალიის მასობრივი გავრცელება. კალიების შემოსევის შედეგად განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საძოვრებსა და ყამირ მიწებზე (დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში), რომლის დამუშავება რთული ლანდშაფტის გამო სამსახურის ხელთ არსებული ტექნიკით შეუძლებელი იყო და აუცილებელი გახდა კალიების რეზერვაციების ავიაციის საშუალებით დამუშავება.

შემოსევის აღმკვეთი ღონისძიებების შედეგად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავარგულები და მწვანე საფარი გადაურჩა განადგურებას.

სამსახურმა, საკუთარი ძალებით, კახეთში დაამუშავა 9544,45ჰა, ქვემო ქართლში - 6942,9ჰა შიდა ქართლში- 324 ჰა; მცირე ავიაციის გამოყენებით დამუშავდა 6810 ჰა. დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში კალიების წინააღმდეგ ღონისძიებები ჩატარდა 23 621 ჰექტარზე ნაცვლად დაგეგმილი 15 000 ჰექტრისა.

- ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

ამერიკული პეპლის ორივე თაობა დასავლეთ საქართველოში ერთეულ მცენარეებზე გამოვლინდა, რის გამოც, მხოლოდ ბიოლოგიური პრეპარატით დამუშავდა საავტომობილო ტრასების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები, სულ დამუშავდა 100 ჰა ფართობი;

## ექსპორტის ხელშეწყობა

სააგენტოს უშუალო მონაწილეობით, 6-წლიანი ემბარგოს შემდეგ, მცენარეული წარმოშობის ქართული პროდუქცია დაუბრუნდა რუსეთის ბაზარს;

2013 წლის 28 ივნისიდან ნებადართულია დაფნის, ხმელი სუნელის, ჩირის და სხვა დაბალი ფიტოსანიტარიული რისკის მქონე პროდუქციის ექსპორტი;

2013 წლის 14 ოქტომბრიდან დაშვებულია მაღალი რისკის პროდუქტები: თხილი, ციტრუსი, ყურძენი, ვაშლი, მსხალი, კომში.

დღევანდელი მონაცემებით, რუსეთში ექსპორტირებულია: მანდარინი - 25 ათას ტონამდე; ვაშლი - 50 ტონა; ლიმონი - 10 ტონა; ფეიხოა - 1,5 ტონა; მანდარინის კონცენტრატი - 110 ტონა; მანდარინის კონც. წვენი - 20 ტონამდე ; ასკილი - 19 ტონა; მოცვი - 2,5 ტონა; ცირცელი - 1 ტონა; უკვდავა - 1,5 ტონა; ხმელი სუნელები, სანელებლები - 10 ტონა; დაფნა - 34,5 ტონა;

მიმდინარეობს მოლაპარაკება ქართული მწვანილის რუსეთის ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებით.

## კანონშემოქმედება

2013 წლის 10 ივნისიდან ძალაში შევიდა მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს სასურსათო კვერცხზე სავალდებულო მარკირებას დადების თარიღისა და მწარმოებელი ქვეყნის მითითებით, რითაც მინიმუმამდე დავიდა დახლებზე ვადაგასული და ფალსიფიცირებული კვერცხის მოხვედრის შანსი.

ვადაგასული სურსათის რეალიზაციასა და ეტიკეტირების წესის დარღვევაზე მკაცრდება საქართველოს კანონმდებლობა.

პარლამენტს წარედგინა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში" შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, ბიზნესოპერატორის მიერ ვადაგასული სურსათის თუ ცხოველის საკვების რეალიზაცია გამოიწვევს ფულად ჯარიმას - 500 ლარის ოდენობით. დღეს მოქმედ კოდექსში აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის სანქცია არ არის გათვალისწინებული.

კოდექსს 74-ე პირველი პრიმა მუხლი ემატება, რომლის მიხედვითაც, ფულადი ჯარიმები განისაზღვრება. პროექტის თანახმად, სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას - 400 ლარის ოდენობით.

## ევროპასთან ჰარმონიზაცია

2013 წლის გაზაფხულზე, სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შექმნილმა ჯგუფმა ევროკავშირის ექსპერტებთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების საფუძველზე მოამზადა ევროკავშირთან დაახლოების პროგრამის პროექტი. პროგრამაში გაწერილია ევროკავშირის საკანონმდებლო აქტები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ქართული კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოება 8 წლის განმავლობაში. აღნიშნული პროექტი საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად 2014 წლის დასაწყისში გადაეგზავნება.

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის ტექსტზე, სადაც გაწერილი იქნება 2014-2016 წლების ერთობლივი პრიორიტეტული მიმართულებები.

## სააგენტო და საზოგადოება

- 2013 წელს სააგენტოს ცხელ ხაზზე მიღებულია 157 სატელეფონო შეტყობინება. ყველა მათგანზე განხორციელდა ოპერატიული რეაგირება;
- სააგენტოს აქტივობების შესახებ მომზადდა და ეთერში გავიდა 656 სატელევიზიო რეპორტაჟი/გადაცემა და 451 რადიოგადაცემა, 241 საგაზეთო სტატია/პუბლიკაცია, საინფორმაციო სააგენტოებში გამოქვეყნდა 943 ინფორმაცია;
- მიმდინარეობს სააგენტოს ვებგვერდის რეორგანიზაცია. ვებგვერდზე დამატებულია ახალი სერვისები (ელექტრონული მომსახურება); ვებგვერდი იცვლება პორტალით. პორტალი სააგენტოს ცალკეული სტრუქტურული ერთეულის შიგნით, მათი ფუნქციური დატირთვის მიხედვით ინფორმაციის დახარისხების საშუალებას მოგვცემს.
- სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ჩამოყალიბდა ,,სამოქალაქო დარბაზი", რაც შექმნის საზოგადოების ჩართულობის პრეცედენტს სააგენტოს პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რათა მეცნიერების, ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის

წარმომადგენლებთან ერთად ვიზრუნოთ მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. დარბაზი დაეხმარება სააგენტოს მისი პოზიციების ჩამოყალიბებაში, ამ პოზიციების დაცვაში, გახმოვანებაში, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში;

## ➢ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა სერტიფიცირების პროცესი და მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი **ISO 9001:2008**. სერტიფიცირება განახორციელა აშშ-ს საერთაშორისო სასერტიფიკატო ორგანომ SAI GLOBAL-მა. ასევე აქტიურად მუშაობს საერთაშორისო აკრედიტაციის ISO17025-ის მისაღებად. განაცხადი შეტანილია აშშ-ს საკრედიტაციო ორგანოში ANSI-ში. აკრედიტაციის პირველი ეტაპი ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა, ხოლო მეორე ეტაპის გასავლელად აშშ-დან აუდიტების ჩამოსვლა დაგეგმილია მიმდინარე წლის 17 დეკემბერს.

დაიწყო „გარეულ ფრინველებში A ტიპის გრიპის ვირუსის ევოლუციის და ფილოგენეტიკის შესწავლა და მასპინძელ ფრინველთა სახეობების პოპულაციური გენეტიკური სტრუქტურის კვლევის" პროექტი. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ: კემბრიჯის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი და მსოფლიო რეფერალური ლაბორატორია (ბრიტანეთი).

მიმდინარეობს საერთაშორისო პროექტი - GG 20 - საქართველოში ქუ ცხელების შესწავლა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა. პროექტს ახორციელებენ: სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, DTRA-ს ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციის Battelle-ის ორგანიზებით;

მიმდინარე წლის დეკემბერში კი, დაიწყება საერთაშორისო პროექტი - GG 22 - ღორის აფრიკული ცხელების შესწავლა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა რეგიონში (საქართველო, სომხეთი, უკრაინა). პროექტს განახორციელებენ: სსიპ სურსათის ეროვნული სააგნტო, სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, სომხეთისა და უკრაინის შესაბამისი სტრუქტურები, Battelle-ის ორგანიზებით.

ლაბორატორიაში ინერგება დზეის-ის (დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა) პროგრამა, რომელშიც ასევე ჩართულია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო.

გაფორმდა თურქულის პროფესიულ ტესტირებაზე მემორანდუმი ინგლისის პირბრაიტის რეფერალურ ლაბორატორიასთან, ასევე გაფორმდა მემორანდუმი ფრინველის გრიპის პროფესიულ ტესტირებაზე დიდი ბრიტანეთის ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის და ვეტერინარული ლაბორატორიების სააგენტოსთან.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ბრუცელოზის პროფესიულ ტესტირებაზე მემორანდუმის გაფორმების საკითხებზე დიდი ბრიტანეთის ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის და ვეტერინარული ლაბორატორიების სააგენტოსთან. ლაბორატორია გაწევრიანდა „ღორის აფრიკული ჭირის გლობალურ ალიანსში" როგორც კვლევითი კოლაბორანტი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში ცოფის დიაგნოსტიკის არსებული მეთოდების დახვეწისა და თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით, მიღწეულია შეთანხმება და

შესაბამისი დაფინანსება გამოყოფილი დიდი ბრიტანეთის ბიოლოგიური ჩართულობის პროგრამის მიერ. უახლოეს მომავალში ქართველ სპეციალისტებს ინგლისიდან ჩამოსული სპეციალისტები ტრეინინგებს ჩაუტარებენ.

დღეისათვის მომზადებული და დამტკიცებულია 97 „სოპ“-ი (სტანდარტული ოპერაციული პროცედურები), ხოლო 18 სოპ-ზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა და უახლოეს პერიოდში დამტკიცდება. ასევე შემუავებული და დამტკიცებულია ლაბორატორიაში შიდა კონტროლისათვის გამოსაყენებელი 53 სხვადასხვა ფორმები, ხოლო 16 ფორმა დამტკიცების პროცესშია. ასევე, შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ბიოუსაფრთხოებისა და ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოები.

DTRA-ს (აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს საფრთხის შემცირების სააგენტო) დახმარებით შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

ა) მთლიანად შეიცვალა თბილისში ელექტრომომარაგების მაღალი ძაბვის კაბელი (სულ 320 მეტრი) და მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი;

ბ) კაპიტალურად გარემონტდა ზუგდიდის საველე სადგურის შენობა;

გ) შემოიღობა დუშეთის საველე სადგურის ტერიტორია (გაკეთდა 40 მეტრი სიგრძის და 2 მეტრი სიმაღლის ბეტონის ღობე);

დ) კვების პროდუქტებში ბაქტერიოლოგიური, ტოქსიკოლოგიური და რადიოლოგიური კვლევების თანამედროვე მეთოდების ათვისებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით ჩამოყვანილი იქნა ტრენერები აშშ-დან, საფრანგეთიდან და რუსეთიდან, რომლებმაც თანამშრომლებს ჩაუტარეს შესაბამისი ტრეინინგები.

ე) მიღწეულია DTRA-სთან შეთანხმება დუშეთის საველე სადგურის შენობის კაპიტალურად შეკეთებაზე და მარნეულში საველე სადგურის ახალი შენობის აშენებაზე. მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია.

ამჟამად ლაბორატორია აქტიურად მუშაობს ორ ახალ საერთაშორისო პროექტზე, რომლებიც სავარაუდოდ მომავალი წლიდან დაიწყება. ერთი არის ცხოველებში ტუბერკულოზის მონიტორინგი, ხოლო მეორე კი ცხოველებში ანტიბიოტიკების გამოყენების მონიტორინგი.

## ➢ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად , 2013 წლის 12 ივლისს, საკანონმდებლო ორგანომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონი“ მიიღო. კანონის საფუძველზე, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს. კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:

- სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას;
- მიწების გამსხვილებას, კონსოლიდაციას;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

**კოოპერატივების 2 მთავარი პრინციპი:**

**ნებაყოფლობითობა და თანასწორუფლებიანობა!**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაწევრიანება ნებაყოფლობითია. მისი მართვა, დემოკრატიული პრინციპით ხორციელდება; ყველა წევრი თანასწორია; მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა რაოდენობის ქონებით შევა გლეხი კოოპერატივში - 100 ჰექტრისა და 1 ჰექტრის მფლობელი გადაწყვეტილებას ერთნაირად იღებს.

**ერთი წევრი - ერთი ხმა!**

**რა პროგრამებს განახორციელებს სახელმწიფო კოოპერატივების ხელშესაწყობად:**

- სოფლის მეურნეობის სამინისტრო „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებითა და ხელის სათესი უზრუნველყოფის პროექტს" განახორციელებს. პროექტი ითვალისწინებს კოოპერატივებისთვის 1700 ერთეული მოტობლოკისა და 2000 ხელის სათესის შეღავათიანი პირობებით, ან ლიზინგით (გრძელვადიანი იჯარა-გამოსყიდვის უფლებით) გადაცემას;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სარგებლობს უპირატესობით, მიიღოს გრანტი (საჩუქარი);
- განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა პროგრამები;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, როგორც გაერთიანება, კრედიტუნარიანად ითვლება და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია;
- **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებს შემოსავალი მეტი აქვთ, ხარჯი კი**

**ნაკლები, რადგან დანახარჯები რამდენიმე სუბიექტზე ნაწილდება**

მაგალითად: თუ გლეხს 1 ჰექტრის დამუშავება საშუალოდ 900-1000 ლარი უჯდება, კოოპერატივში გაერთიანების შემთხვევაში, ანალოგიურ საქმიანობაზე ხარჯი 5-10% - ით შეუმცირდება.

**კოოპერატივები ისარგებლებენ შემდეგი სახის საგადასახადო შეღავათებით:**

- კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, **ქონების გადასახადით არ იბეგრება**;
- **მოგების გადასახადით არ იბეგრება** სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც, მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს.

კოოპერატივის შექმნისთვის საჭიროა გლეხების გაერთიანება დარგების მიხედვით. მაღალმთიან რეგიონში კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 3-ზე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კი, 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს:

- 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს პაის.

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება იქმნება წევრთა (მეპაიეთა) შენატანით (პაით), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგებით, გრანტით ან სხვა წყაროებით. კოოპერატივების შექმნისას კერძო მფლობელობაში არსებული მიწების გაერთიანება სავალდებულო არ არის, თუმცა სურვილის შემთხვევაში და წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით შესაძებელია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს ანიჭებს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების სააგენტო".

სტატუსის მისაღებად საჭიროა:

- გაერთიანებით დაინტერესებული პირები დარეგისტრირდნენ სამეწარმეო რეესტრში კოოპერატივის ორგანიზაციული ფორმით;
- სააგენტოში წარადგინონ მიწასა და/ან ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და კოოპერატივის წესდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოოპერატივების შესახებ მოსახლეობის უკეთ ინფორმირების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თანამშრომლები რეგიონებში მუნიციპალიტეტების და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები წარმომადგენლებთან შეხვედრებს მართავენ.

## ➢ ექსტენციის ცენტრები და საინფორმაციო მომსახურება

აქტიურად მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურები. მთელი საქართველოს მასშტაბით, 59 მუნიციპალიტეტში 260-ზე მეტი სპეციალისტი ადგილზე ყოველდღიურ რეჟიმში გლეხებსა და ფერმერებს კონსულტაციებს უწევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ეფექტიანად განხორციელებისთვის. **სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო** სამსახურების შექმნა ღია კონკურსის წესით მარტის თვეში განხორციელდა.

**ცოდნის გავრცელება ფერმერის და სოფლის მეურნეობის მეწარმეთა და ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობაა.**

## ➢ ციტრუსის სეზონი და ექსპორტი

წელს საქართველოში ციტრუსის კარგი მოსავალია. ასევე უხვი მოსავალია მანდარინის ექსპორტიორ ქვეყნებშიც - ესპანეთი, მოროკო და თურქეთი, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფასზე და ხარისხიანი, საერთაშორისო სტანდარტების ციტრუსის ღირებულებაც შემცირდა. ჭარბი მოსავლისა და, შესაბამისად, მაღალი კონკურენციის გამო, საქართველოში მანდარინის საბაზრო ფასმა 35-45 თეთრი შეადგინა.

**ხელისუფლებამ წელს უპრეცედენტო რაოდენობის ფინანსური რესურსი გამოყო ციტრუსის სუფსიდირებისთვის.** კერძოდ, სახელმწიფომ 13 მილიონ 800 ათასი ლარს გახარჯავს, აქედან 12 მილიონი ლარით სტანდარტული მანდარინის სუფსიდირება ხორციელდება. სახელმწიფო ერთ კილოგრამ სტანდარტულ მანდარინში 15 თეთრს, ხოლო არასტანდარტულში 10 თეთრს იხდის.

სახელმწიფოს ხელშეწყობით, ციტრუსის ჩამბარებელი და დამამზადებლი პუნქტების შექმნისათვის, მსურველებს პავილიონები და მიწის ფართობები სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაეცათ. **დღეს მანდარინის ჩამბარებელი 36 პავილიონი (შარშან ფუნქციონირებდა 18) ფუნქციონირებს, აქედან 3 გურიაში.** ქობულეთის გადამამუშავებელ ქარხანასთან მოლაპარაკებებით გადაწყდა, რომ წელს ქარხანა გლეხებისგან 2-ჯერ მეტ არასტანდარტულ მანდარინს (20 000 ტონამდე) ჩაიბარებს.

მკვეთრად გაუარესებულმა კლიმატურმა პირობებმა დაუკრეფავი ციტრუსი დააზიანა და ექსპორტის პროცესიც შეაფერხა. ამინდის გაუმჯობესებასთან ერთად, ექსპორტი განახლდა და სტაბილურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე ქართული ციტრუსი ექსპორტზე უკრაინის, ბელორუსის, მოლდავეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის მიმართულებით გადის.

ქართულ ციტრუსზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაზრდილია უკრაინისა და რუსეთის ბაზრებზე.

**დღეის მონაცემებით, 40 000 ტონამდე ციტრუსის ექსპორტი უკვე განხორციელდა. არსებული მონაცემებით, სახმელეთო გზებით (ლარსისა და წითელი ხიდის გავლით) ყოველდღიურად ექსპორტზე 2 ტონამდე მანდარინი გადის.**

ბათუმისა და ფოთის პროტებიდან თვის ბოლომდე 4 ბორანი ჯამში 10 000 ტონამდე ციტრუსს უკრაინის მიმართულებით გადაზიდავს.

ასევე, თვის ბოლომდე ბათუმის პორტიდან რუსეთის მიმართულებით რამოდენიმე რეისს განახორციელებს გემი, რომელიც ყოველ რეისზე 1500 ტონა ციტრუსს გადაზიდავს.

**წინასწარი მონაცემებით, ახალ წლამდე ექსპორტზე 55 000 ტონამდე ქართული ციტრუსი გავა.**

ციტრუსის სეზონის მიმდინარეობისა და ექსპორტის ორგანიზებულად განხორციელების მიზნით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ციტრუსის საგანგებო შტაბიც შეიქმნა, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით ნატროშვილი ხელმძღვანელობს.